ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

ეს დადგენილება სკოლებში ფიზიკური კულტურის შემდგომ განვითარებასაც შეეხო. აი, რა არის ნათქვამი ამის თაობაზე დადგენილებაში:

„სკოლის ტიპობრივი სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო საათების შემდეგ მაქსიმალურ რაოდენობას შრომაში, ფიზიკურ კულტურასა და ხელოვნებაში მეცადინეობის ჩათვლით: I-IV კლასებისთვის — 24 საათს კვირაში, V-X (XI) კლასებისთვის — 30 საათს კვირაში. რუსეთის სფსრ ეროვნულ სკოლებში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სკოლებში ნებადართულია სასწავლო დატვირთვა ზემოაღნიშნულ ნორმებთან შედარებით გადიდდეს 2-3 საათით კვირაში თითოეულ კლასში“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალეს გაზარდონ მომთხოვნელობა სახალხო განათლების განყოფილებებისადმი, სკოლების დირექტორებისადმი, ფიზკულტურული, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებისადმი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და თავდაცვით-სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და ხარისხისთვის.

...გაითვალისწინონ პედაგოგიურ სასწავლებლებში, პედაგოგიური ინსტიტუტების შესაბამის ფაკულტეტებზე და სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მუსიკისა და სიმღერის, სახვითი ხელოვნების, ფიზიკური აღზრდის, ხაზვისა და შრომის მასწავლებელთა მომზადება საჭირო რაოდენობით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 229 (3206) 26 1966 წ. ნოემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

სსრ კავშირის პირველობა








სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები რ. დათიკაშვილი (მარცხნივ) და ვ. კოჩიევი შეჯიბრებისას.
ფოტო ი. იუნაევისა.

ტურნირის ანგარიში იხ. მე-3 გვ.

## ფრე ჩემპიონთან

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 25 ნოემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიევი) 0:0.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, კუტივაძე (ზარია), წვერავა, ერქომაიშვილი, ხერხაძე, ხაჟალია, გ. ნოდია.

„დინამო“: ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო (პუზაჩი), ტურიანჩიკი, ბიშოვეცი, სერებრიანიკოვი, მედვიდი, ბიბა, ხმელნიცკი.

მსაჯი თ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები — 0:0.

სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონისა და თასის მფლობელის — კიევის „დინამოს“ შეხვედრები ქუთაისელებთან მუდამ დაძაბული ხასიათისაა. მრავალრიცხოვანი მაყურებელი ამჯერადაც საინტერესო და მწვავე ბრძოლის მოწმე გახდა. ტორპედოელებმა თამაში დაუზვერავად დაიწყეს და თავიდანვე ეკვეთნენ კიეველთა კარს. მე-3 წუთზე ბანიკოვი კარის კუთხეში ძლივს მიწვდა კუტივაძის დარტყმულ ბურთს. მაგრამ ქუთაისელთა შტურმი ხუთიოდე წუთს გაგრძელდა და თამაში თანდათან გათანაბრდა. ჩემპიონები ცდილობდნენ გრძელი გადაცემებით ფლანგებიდან წამოეწყოთ გარღვევები, მაგრამ წივწივაძემ და ლოსაბერიძემ საიმედოდ ჩაკეტეს ბიშოვეცი და ხმელნიცკი. კიეველებმა ამ გზით საჯარიმო მოედანში შეჭრა რომ ვერ მოახერხეს, შორი მანძილიდან „დაბომბვას“ შეეცადნენ, მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა. პირველი ტაიმის დამთავრებისას ისევ ტორპედოელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის საშუალება: კუტივაძის ჩამოწოდების შემდეგ წვერავამ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ცოტათი აცდა კარს.

55-ე წუთზე კიეველებს ჰქონდათ პირველი და უკანასკნელი საგოლე მომენტი, როცა პუზაჩის მიერ ახლოდან დარტყმული ბურთი ძლივს მოიგერია კვასხვაძემ. მეკარეს მცველებიც მიეხმარნენ და ბურთი კუთხურზე გაგზავნეს.

კვლავ სახიფათოდ შეუტიეს ტორპედოელებმა. გამოცოცხლდა მარცხენა ფრთაც: ნოდიამ რამდენიმე საშიში გარღვევა განახორციელა. მატჩის მიწურულში ჩემპიონის კარი აშკარა გოლისგან იხსნა ბანიკოვმა: მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო მოედანში კარგად შეიჭრა ხერხაძე და 10-12 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა. ბანიკოვმა ბურთი ოსტატურად მოიგერია კუთხურზე.

ზ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

◆ კლუჟი, 25 ნოემბერი. მსოფლიო ჩემპიონებმა — რუმინეთის ხელბურთელმა ვაჟებმა გაიმარჯვეს საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც. ეს შეჯიბრება რეპეტიცია იყო გაისად იანვარში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისა. გადამწყვეტ მატჩში რუმინელებმა მოუგეს საბჭოთა ხელბურთელებს — 18:10. იუგოსლაველებმა დაამარცხეს ფრანგები — 18:12 და სსრ კავშირის ნაკრები III ადგილზე გადასწიეს.

მოკლედ საქმეზე!

## 8 ბურთით!

## ტრადიციის ძალა

◆ მილანი, 25 ნოემბერი. იტალიის უძლიერეს მოთხილამურეთა გუნდმა, რომელიც დიდი სტარტების წინ ყოველწლიურად თოვლიან მხარეებში მოგზაურობს, ზამთრისთვის მოსამზადებლად კვლავ აირჩია შვეციის ცნობილი ქალაქი ვოლოდალენი. სკანდინავიაში გაემგზავრება 13 სპორტსმენი: მ. ბაკერი, ე. ბლანკი, ფ. ნონესი, ს. ბუზინი, რ. ჩიოჩეტი, ჯ. დეფლორიანი, ა. ლომბარდი, ფ. მანფროი, პ. სკალა, ნ. სერაფინი, ა. სტელა, ლ. სტუეერი, ჯ. სტელა.

## ნ. ალექსანდრია — ლიდერებში

კიევი, 25 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს საღამოს შედგა მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრება. ალექსანდრიამ მოუგო გოლოვეისა და ტიხომიროვას, ჩაიკოვსკაიამ — კახაბრიშვილს, რანიკუმ — კაკაბაძეს, მუსლიმოვამ — იდელჩიკს, მოროზოვამ — ვოიციკს, სკეგინამ — არჩაკოვას, მედიანიკოვამ — მუსლიმოვას. ყაიმით დამთავრდა იდელჩიკ — რანიკუს, კოზლოვსკაია — ვოიციკისა და ზატულოვსკაია — ბიკოვას პარტიები.

ჭადრაკი

ცნობები ქიევიდან, ბაქოდან

6 ტურის შემდეგ ზატულოვსკაიას 5 ქულა აქვს, მოროზოვას — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, ხოლო ალექსანდრიას, სკეგინას, კოზლოვსკაიას და იდელჩიკს — 4-4 ქულა.

## 6 ტურის შემდეგ

ბაქო, 25 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირის VI ტურში ბაგიროვ — კ. გრიგორიანის, გაფრინდაშვილ — ჩიქოვანის, ბუსლაევ — ფ. შახტახტინსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. პრივოროტსკიმ მოუგო მაჭავარიანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. გიორგაძემ მოუგო ბოკუჩავას, მაჭავარიანმა — ფ. შახტახტინსკის, ბაგიროვმა — პრივოროტსკის, ლ. გრიგორიანმა — პავლენკოსა და ლომაიას, გიორგაძე — ჩიქოვანის, ლომაია — ბუსლაევის, კ. გრიგორიან — გაფრინდაშვილის, დემირხანიან — მაჭავარიანისა და ა. შახტახტინსკი — ლომაიას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

6 ტურის შემდეგ დაწინაურებული ოთხეული ასე გამოიყურება: ლ. გრიგორიანს 4,5 ქულა აქვს 5-დან, ბაგიროვს — 4,5 ქულა 6-დან, ხოლო გაფრინდაშვილსა და გიორგაძეს — 3,5-3,5 ქულა 5-დან.

## XXVI ჩემპიონატი

## როცა გაჯეთი დაიბეჭდა გვერ იყო...

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 ნოემბრისათვის

„ა“ ჯგუფი I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 34 | 22 | 10 | 2 | 63—14 | 54 |
| ასკ (როსტოვი) | 36 | 20 | 7 | 9 | 54—44 | 47 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 35 | 17 | 9 | 9 | 53—28 | 43 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 35 | 15 | 12 | 8 | 45—38 | 42 |
| ცსკა | 36 | 16 | 9 | 11 | 60—45 | 41 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 34 | 15 | 9 | 10 | 52—34 | 39 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 36 | 12 | 14 | 10 | 43—34 | 38 |
| „დინამო“ (თბილისი) | 34 | 12 | 13 | 9 | 41—30 | 37 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 35 | 10 | 17 | 8 | 35—31 | 37 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 35 | 15 | 6 | 14 | 32—35 | 36 |
| „დინამო“ (მინსკი) | 36 | 11 | 13 | 12 | 36—39 | 35 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 35 | 12 | 10 | 13 | 29—38 | 34 |
| „არარატი“ (ერევანი) | 36 | 12 | 10 | 14 | 30—45 | 34 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 36 | 10 | 13 | 13 | 29—36 | 33 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 36 | 10 | 8 | 18 | 35—54 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 35 | 11 | 4 | 20 | 33—48 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 36 | 4 | 17 | 15 | 18—40 | 25 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 34 | 8 | 9 | 17 | 37—54 | 25 |
| ასკ (ოდესა) | 34 | 1 | 12 | 21 | 16—54 | 14 |

## მატჩები, გოლები, ქულები

გუშინწინ ბაქოში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი, რომელსაც ფაქტიურად, შეეძლო გადაეწყვიტა III საპრიზო ადგილის ბედი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკი“ და ცსკა.

III ადგილის პრეტენდენტები — ბაქოელები მთელი თამაშის განმავლობაში უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ ვერ შეძლეს თუნდაც ერთი გოლის გატანა — 0:0.

გუშინ ტაშკენტში ბოლო მატჩი გამართა ადგილობრივმა „პახტაკორმა“. მან წააგო მოსკოვის „სპარტაკთან“ — 1:2. ბურთების ავტორები არიან: კრუტიკოვი, ოსიანინი და ტაშკენტელი კრასნიცკი.

ახლა „სპარტაკს“ 42 ქულა აქვს, ბაქოს „ნეფტიანიკს“ კი — 43. ამ გუნდებს სათამაშო დარჩათ მატჩი ერთმანეთში, რომელიც გადაწყვეტს ბრინჯაოს მედლების ბედს.

# მძლეოსნობა „ახალშობილს"

ერთი თვეა თბილისში დაარსდა საქართველოს პროფსაბჭოს საბავშვო-ახალგაზრდული სპეციალიზებული მძლეოსნობის სკოლა. ჩვენი კორესპონდენტი ეწვია სკოლის დირექტორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს დ. იოსელიანს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე. ვბეჭდავთ ამ საუბარს.

## „ლელოს" ინტერვიუ

● რამ გამოიწვია სკოლის შექმნა?

— ჩვენ, წარსულში ცნობილ სპორტსმენებს, ხშირად გვსაყვედურობდნენ — ბავშვებთან არ მუშაობთო. გამოცდილებაც მკარნახობს, რომ სწორედ სკოლაში „იბადებიან" მომავალი ჩემპიონები. ახალგაზრდა მძლეოსანთა მომზადების მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში მდგომარეობა ამჟამად არც ისე სახარბიელოა და აი, ამ უბნის გამოცოცხლების მიზნით შეიქმნა სკოლა, სადაც ერთ ჯგუფს თავად გავუძღვები.

● როგორია მოსწავლეთა კონტინგენტი და ასაკი?

— სკოლაში ჩარიცხულთა რაოდენობამ 600-ს მიაღწია. ბევრია მსურველიც. საქართველოს მძლეოსნობის ისტორიაში პირველად აქცენტი 10-11 წლის ბავშვებზე გადავიტანეთ. სწორედ ისინი შეადგენენ მოსწავლეთა 70 პროცენტს. სკოლაში ჯერჯერობით ორი კლასია. პირველში მეცადინეობენ ათი-თერთმეტწლინახევრის ბავშვები, მეორეში კი მოზარდები — თერთმეტწლინახევრიდან 13 წლამდე. სკოლა თანდათან გაიზრდება, და ბოლოს, ალბათ, მას 20 წლის ჭაბუკები დაამთავრებენ. ისინი პირველი კლასიდან ამ სკოლაში ისწავლიან.

● სკოლის „შეიარაღებაზე" რას იტყვით?

— რა თქმა უნდა, ყველა მოსწავლეს ექნება საწვრთნელი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (იგი უკვე მივიღეთ), ხოლო სკოლას — თავისი ემბლემა და ნიშნები. ჩვენ შეფობას ვუწევთ ათ საშუალო სკოლას, რომელთაგან უმეტესობა ორჯონიკიძის რაიონშია განლაგებული. არც მათ დავივიწყებთ, დავეხმარებით მძლეოსნური ინვენტარის შეძენაში.

სკოლის ბაზების „გეოგრაფია" მეტად ვრცელია. ჩვენი აღსაზრდელები ივარჯიშებენ ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ინსტიტუტების, ტოპოგრაფიული ტექნიკუმის, № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნისა და საშეფო სკოლების ბაზებზე. ჩვენს „მფლობელობაში" შემოდის, აგრეთვე, „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების", ლენინის სახელობის სტადიონები. კარგია, რომ პირველი სპეციალიზებული სკოლის მოსწავლეებს აქვთ სამეცადინო ადგილი, მაგრამ ცუდია, რომ ასე გაფანტული ვართ ქალაქში. როგორც საქართველოს პროფსაბჭოში დაგვპირდნენ, მალე გადაწყდება სკოლისთვის საკუთარი სპორტბაზების, და, მათ შორის, ზამთრის მძლეოსნური მანეჟის აგების საკითხი.

● როგორც ცნობილია, სპეციალიზებული სკოლის კურსდამთავრებულ 17-18 წლის სპორტსმენებს მოზრდილთა I თანრიგი უნდა ჰქონდეთ. მათ მომზადებას კი გამოცდილი მწვრთნელები სჭირდება.

—დიახ! და ჩვენს სკოლას ისინი არ აკლია. ჩვენთან მუშაობენ წარსულში ცნობილი სპორტსმენები, გამოცდილი მწვრთნელები შ. კილაძე, ლ. გიორგაძე, ს. ქავთარაძე, დ. მახარაშვილი, გ. გოგნიაშვილი, ი. გიგაური, ვ. ფოფხაძე, ვ. ვენცკევიჩი, ი. უშაკოვი, გ. შამყულაშვილი, ა. ალიხანოვა, ვ. კუზოვნიკოვა და სხვ.

● რას იტყვით სკოლისა და მოსწავლეთა მშობლების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე?

— კონტაქტი საკმაოდ მჭიდრო იქნება. მალე მშობლებისთვის მოვაწყობთ ლექციების ციკლს ბავშვის ჰიგიენის, ფსიქოლოგიის, აღზრდის საკითხებზე. შევქმნით მშობელთა კომიტეტს, რომელიც აქტიურად ჩაებმება მწვრთნელთა საბჭოს საქმიანობაში. ზამთრის არდადეგებზე მოეწყობა პირველი 10-დღიანი სპორტული ბანაკი. ბავშვებს საუკეთესო აქტივისტები გაჰყვებიან. ზაფხულში კი ლესელიძეში მოვაწყობთ გამაჯანსაღებელ ბანაკს. იქ 52 დღის განმავლობაში 400 ბავშვი დაისვენებს. ეს ყველაფერი დასაწყისია. ჩვენი შრომის ნაყოფი კი, ალბათ, 2-3 წლის თავზე გამოჩნდება.

• • •



სურათზე: სკოლის აღსაზრდელებს ჭოკით ხტომაში ავარჯიშებს საქართველოს ექს-რეკორდსმენი ვ. ვენცკევიჩი.

ფოტო ვ. ბუკინისა.

## მესამედ!

ქასპი (ჩვენი კორ.). გაიმართა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს პირველობის ფინალი ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ ზონალურ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები. აღმავლობით ჩაატარა ყველა შერკინება დოესის ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც მესამედ მოიპოვა რაიონის ჩემპიონის წოდება და გარდამავალი თასი. II ადგილზე გავიდნენ ლამისყანელი ფალავნები, ხოლო III — ოკამის საბჭოთა მეურნეობის გუნდი.

ლ. ელისაბედაშვილი.

# ასპარეზობენ ნორჩები

## წლეულს უკეთ

ამას წინათ თბილისში გაიმართა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების — „მხიარული დელფინის" მეოთხე ეტაპი. ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი მოცურავეებისთვის იგი ფაქტიურად ბოლო იყო. ცისფერი ბილიკები ამჯერად კომპლექსურ ცურვაში მოასპარეზეებს დაეთმოთ. საპრიზო ადგილების უმეტესობა ნორჩი დინამოელის სპეციალიზებული სკოლის მოცურავეებმა დაისაკუთრეს. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ გოგონათა შეჯიბრება 200 მეტრზე.

როგორც ცნობილია, წინა 3 ეტაპის ჯამით თბილისელი ნორჩი დინამოელები IV-V ადგილებზე არიან. დამამთავრებელი ეტაპი კი საბოლოოდ გაარკვევს წლევანდელი პრიზის მფლობელს. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის ტურნირის მონაწილეთა უმეტესობამ უკეთესი შედეგი მოიპოვა, ვიდრე შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა. მაგალითად, შარშან 100 მეტრზე კომპლექსური ცურვა 11-12 წლის გოგონათა შორის მოიგო ნ. ვილბაუმმა — 1.31,7. წლეულს კი მას სამივე პრიზიორმა აჯობა. განსაკუთრებით ქების ღირსია თინა ლეკვეიშვილი.

ამ ეტაპზე გაიმართა შეჯიბრებები საერთო ფიზმომზადებაში — ადგილიდან ხტომასა და სირბილში.

აი, ასპარეზობის ტექნიკური შედეგები: **100 მ კომპლექსური ცურვა. 11-12 წლის გოგონები:** თ. ლეკვეიშვილი (ნორჩი დინამოელი) — 1.25,1, ნ. დავთიანი („განთიადი")—1.28,5, ტ. შელესტი (თბილისის განათლების განყოფილება) — 1.29,4; **ბიჭები:** ს. იევლევი — 1.17,3, თ. ცაგარელი — 1.17,9, ვ. გონჩაროვი (ყველა — ნორჩი დინამოელი) — 1.21,1; **200 მ კომპლექსური ცურვა. 13-14 წლის გოგონები:** [illegible] — 2.59,0, ი. ოვჩინიკოვა (ორივე — თბილისის განათლების განყოფილება) — 3.01,2, ზ. ლიუბჩენკო (ნორჩი დინამოელი) — 3.09,0; **ბიჭები:** ს. მატვეევი (ნორჩი დინამოელი) — 2.42,5, ზ. ხურცილავა („შრომითი რეზერვები") — 2.46,5, პ. გევორქოვი (ნორჩი დინამოელი) — 2.47,0; **400 მ კომპლექსური ცურვა. 15-16 წლის გოგონები:** ვ. ბახი — 6.35,0, თ. ისტრებინსკაია (ორივე — ნორჩი დინამოელი) — 6.51,1, ვ. მძინარიშვილი (თბილისის განათლების განყოფილება) — 7.01,4; **ჭაბუკები:** ა. ხეხტოიანი — 5.37,9, ი. კირდიანოვი — 5.46,8, ი. შკინინი (ყველა — ნორჩი დინამოელი)—5.52,0.

გ. ჩიქოვანი.

## ვეტერანის პრიზზე

საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტსკოლამ 1962 წლიდან დააწესა გამოჩენილი ქართველი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის გარდამავალი თასი ამ სკოლის ფილიალების გუნდებისთვის. ეს ტრადიციული შეჯიბრება მუდამ დიდ ინტერესს იწვევს რაიონების ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

თასის პირველი მფლობელი იყო ხობის მოსწავლეთა გუნდი. შემდგომ წლებში ვეტერანის პრიზს დაესაკუთრნენ საჩხერის, ახმეტისა და კვლავ ხობის გუნდები.

წლევანდელი გათამაშების მონაწილე 16 გუნდი განაწილებული იყო ოთხ ქვეჯგუფად, საიდანაც ფინალში თამაშის უფლება მიიღეს ხობის, თერჯოლის, ახმეტისა და ქარელის ფეხბურთელებმა. ფინალური ტურნირი მიმდინარეობდა ბათუმის „დინამოს" სტადიონზე.

კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანეს ახმეტელებმა (მწვრთნელი გ. ჯილიტაშვილი), რომლებმაც დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი. II ადგილი წილად ხვდა თერჯოლის კოლექტივს (მწვრთნელი ა. ჩარექიშვილი).

შეჯიბრების მონაწილეთათვის დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. საუკეთესო მეკარედ მიჩნეულ იქნა ბოლნისელი თ. სტეფანია, მცველად — გ. ლეფსიწვერიძე, ნახევარმცველად — ა. ხოხობაშვილი, ხოლო თავდამსხმელად — ა. ნადირაშვილი (სამივე ეს ფეხბურთელი ახმეტელია).

თ. კუბლაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## მოსწავლეთა შესარჩევი...

თბილისში, „განთიადის" საჭიდაო დარბაზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს განათლების სამინისტროს მოსწავლეთა შესარჩევი შეჯიბრება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში.

„კლასიკოსთა" შორის წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: რ. მხატვარმა (მახარაძე), ა. ვეშაპიძემ (თბილისი), ვ. ჯორჯიკიამ (სოხუმი), ვ. კრავეიშვილმა, ე. დარჩიამ, თ. ფილიშვილმა (ყველა — თბილისი), რ. მაჩკალიანმა (სოხუმი), ვ. გარუჩავამ, შ. აბაშიძემ (ორივე — თბილისი).

თავისუფალ ჭიდაობაში უძლიერესნი იყვნენ: ლ. მარქაროვი (თბილისი), ზ. კაცაძე, რ. ირემაძე (ორივე — ქუთაისი), ს. ავდალიანი, ვ. ჭკადუა (ორივე — თბილისი), რ. მაღლაფერიძე (კასპი), ა. გელდიშვილი, მ. შიოშვილი (ორივე — თბილისი), ტ. ცნობილაძე, ფ. ჩიხლაძე (ორივე — ქუთაისი).

ტ. ფილიშვილი,
სპორტის ოსტატი.

## [illegible]

### ✦ თბილისი

3 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თასის გათამაშება ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდნენ ყველა ფაკულტეტის გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სამთო-გეოლოგიური და მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტების კოლექტივები. პირველი თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. დამატებითი მატჩი მოიგო სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გუნდმა — 3:0.

ბ. კობაძე.

• • •

თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატში ჩამოყალიბდა ველოსპორტის სექცია, რომელშიც 40-მდე მოსწავლეა გაერთიანებული.

შ. ბასილაია.

### ✦ ცხინვალი

15 ეტაპად იყო დაყოფილი მძლეოსანთა ტრადიციული ესტაფეტა ქალაქის ქუჩებში, რომლის დისტანცია 5,5 კილომეტრს უდრიდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ განათლების განყოფილების, „განთიადის", „ბურევესტნიკისა" და „კოლმეურნის" გუნდები. I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა. II ადგილზეა განათლების განყოფილების კოლექტივი.

• • •

საქალაქო თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პედაგოგიური ინსტიტუტისა და ბავშვთა სპორტსკოლის ფეხბურთელები. მატჩი მოიგეს სტუდენტებმა — 2:1.

ვ. მელქოევი.

### ✦ ქობულეთი

რაიონული თასის გათამაშებაში მონაწილეობდა ფეხბურთელთა 16 კოლექტივი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ქობულეთის საკონსერვო ქარხნის გუნდები. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს ოჩხამურელებმა.

ლ. ტრაპაიძე.

## საკითხის განმარტების წესით

# სურათი რომ უფრო ნათელი იყოს

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის გათამაშება ესტაფეტებში საქართველოს რამდენიმე რეკორდით აღინიშნა, რაც დაიბეჭდა კიდეც „ლელოს" ფურცლებზე. ამჯერად საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ ზოგიერთი საკითხის დაზუსტება. ს. არმუშევას, ნ. ბახტაძისა და რ. შჩიკოვსკაიას მიერ კისლოვოდსკში ნაჩვენები შედეგი (7.35,6) საქართველოს მიღწევაა (და არა რეკორდი), ვინაიდან მძლეოსნობის ამ სახეობაში მანამდე საერთოდ არავითარი შედეგი არ აღრიცხულა ქალთა ესტაფეტაში 3×800 მეტრზე.

რაც შეეხება ესტაფეტას 4×1500 მეტრზე, იგი პირველად 1951 წელს გაიმართა თბილისში და ასეთი შედეგი მოგვცა: 17.33,8. 1952 წელს ეს დრო გააუმჯობესეს ი. კოჩაროვმა, ი. უშაკოვმა, ფ. სალიმოვმა და ვ. პოზნარმა — 17.25,0. 1958 წელს კი თბილისის ნაკრებმა (ვ. ივანოვი, ვ. პოზნარი, ვ. სუხანოვი, ნ. სერგეევი) დაამყარა ახალი რეკორდი — 17.01,0. ამჯერად კისლოვოდსკში ა. უროვსკიმ, ნ. დავიდენკომ, ი. ცანავამ და ი. სოვეტკინმა 8 წლის წინანდელი რეკორდი ბევრად გააუმჯობესეს — 16.35,2.

ასევე იყო ვაჟთა ესტაფეტაში 4×800 მეტრზე. ამ სახეობაში პირველი მიღწევა (8.52.7) 1937 წლის 24 თებერვალს აჩვენა თბილისში ბათუმის ნაკრებმა (პ. ლებედევი, გ. ვერჩენკო, ფ. იაფაროვი, პ. იურჩენკო). ეს შედეგი მხოლოდ 1946 წელს შეცვალეს თბილისელებმა — ბ. ტერეშჩენკომ, ვ. ქადეიშვილმა, ა. სნისარენკომ, ი. უშაკოვმა — 8.41,0. 1953 წელს კი საქართველოს ნაკრებმა აჩვენა 8.15,2.

დღეისთვის ესტაფეტებში საქართველოს რეკორდების სურათი ასეთია:

**ვაჟები:** **4×100 მ — 40,8** — საქართველოს ნაკრები (რ. მამალაძე, ი. კოზელსკი, ტ. ბახტაძე, ა. ანტონოვი). დამყარებულია 1965 წლის 11 ოქტომბერს ბაქოში; **4×200 მ — 1.29,0** — საქართველოს ნაკრები (ლ. ხანაძე, რ. ტრაპაიძე, ნ. კლიუევი, ნ. ბაკრიაშევი). 1956 წლის 2 სექტემბერი, თბილისი; **4×400 მ** — საქართველოს ნაკრები (ტ. ბახტაძე, ი. კოზელსკი, ა. ანდრეევი, ზ. სარქისიანი). 1966 წლის 18 ოქტომბერი, თბილისი; **4×800 მ — 7.36,2** — თბილისის ნაკრები (ვ. შულგინი, ა. კორნიიჩუკი, ი. ლოგუნოვი, ი. ზეინან-ოღლი). 1966 წლის 20 ნოემბერი, კისლოვოდსკი; **4×1500 მ — 16.35,2**— თბილისის ნაკრები (ა. უროვსკი, ნ. დავიდენკო, ი. ცანავა, ი. სოვეტკინი). 1966 წლის 20 ნოემბერი, კისლოვოდსკი; **3×1000 მ — 8.47,2**—თბილისის ნაკრები. 1952 წ. **5×1000 მ — 14.41,0** — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (ვ. ქადეიშვილი, ბ. ტერეშჩენკო, ვ. პორტნოვი, ს. პეტროსიანი, ა. სნისარენკო). 1946 წლის 18 მაისი, თბილისი; **10×1000 მ — 28.33,7**—თბილისის „დინამო" (ვ. როზანოვი, ი. უშაკოვი, ი. მენაილენკო, მ. ვინოგრადოვი, ა. პოლოსიანი, ა. იაროშენკო, ვ. საიანოვი, ბ. ტყეშელაშვილი, ა. შეველიოვი, ა. კურეპინი). 1952 წლის 24 სექტემბერი, თბილისი; **800+400+200+100 მ — 3.17,0** — საქართველოს პროფსაბჭოს ნაკრები (ი. ლოგუნოვი, ჯ. სხულუხია, ტ. ბახტაძე, ზ. სარქისიანი). 1965 წლის 10 აგვისტო, მოსკოვი.

**ქალები:** **4×100 მ—47,2** — თბილისის ნაკრები (ვ. ქუთათელაძე, გ. კონონენკო, ლ. იევლევა, თ. როჟმანოვა). 1966 წლის 20 ნოემბერი, კისლოვოდსკი; **4×200 მ — 1.48,8**—საქართველოს ნაკრები (ლ. იევლევა, ტ. პშენიჩნაია, ფ. სტრახერი, ა. ოვივიანი). 1958 წლის 20 ივლისი, თბილისი; **3×800 მ — 7.35,6** — თბილისის ნაკრები (ს. არმუშევა, ნ. ბახტაძე, რ. შჩიკოვსკაია). 1966 წლის 20 ნოემბერი, კისლოვოდსკი; **400+300+200+100 მ — 2.23,5**—საქართველოს პროფსაბჭოს ნაკრები (მ. ოჰანესიანცი, ნ. გაბეხაძე, ვ. თეთრაძე, ლ. თოფჩიშვილი). 1965 წლის 8 აგვისტო, მოსკოვი.

ლ. ვიორბაძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

# მსოფლიოში მეოთხე

დეკემბრის მეორე ნახევარში გაიმართება სსრ კავშირის გუნდური პირველობა ძალოსნობაში. ამ პასუხსაგები ტურნირის წინ ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთა მომზადების ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენდა საქართველოს პირადი პირველობა, რომელიც ამ დღეებში თბილისის ლენინის სახელობის დარბაზში ჩატარდა.

მჩატე წონის ძალოსანთა ასპარეზობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ამ წონაში ჯერ კიდევ ვერ გვაქვს კარგად საქმე. უკვე 10 წელია თბილისელ სპორტის ოსტატ რ. დათიკაშვილს („განთიადი") ჩემპიონის წოდებას ვერავინ ეცილება. ასე იყო ამჯერადაც. თუმცა ღირსეული მეტოქე არც ჰყავდა, დათიკაშვილი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა შეჯიბრებას და საკმაოდ მაღალი შედეგით (310 კგ) მეთერთმეტედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება ბათუმელი პართენაძე („კოლმეურნე") გამარჯვებულს 30 კგ-ით ჩამორჩა და II ადგილზე გავიდა. III ადგილი (მეორე თანრიგის შედეგით) ხვდა თბილისის დინამოელ ი ბაბაევს — 255 კგ

როგორც ვიუწყებოდით, ქვემსუბუქ წონაში დიდი წარმატება ხვდა ქუთაისელ სპორტის ოსტატ დ. შანიძეს („განთიადი"). სამჭიდში მან 7,5 კილოგრამით გააუმჯობესა სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. ჩიმიშკიანის მიერ 1958 წელს დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი. შანიძის შედეგი — 362,5 კგ — წლეულს მეოთხე მაჩვენებელია მსოფლიოში. ბერლინში მსოფლიოსა და ევროპის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატებში რომ გამოსულიყო, იგი 7 მედლის კავალერი გახდებოდა სამჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში.

შანიძემ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა: 110,5 კგ აჭიმა და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა ა. სურმანიძის რესპუბლიკური რეკორდი, ხოლო აკვრაში აჩვენა 147,5 კგ, რაც 1 კილოგრამით მძიმეა მოსკოველი ე. სოლოვიოვის საკავშირო მიღწევაზე.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა შანიძის უმცროსმა კოლეგამ, თბილისელმა ა. კირაკოსიანმა („სპარტაკი"). შეჯიბრების წინ იგი იუნიორთა საკავშირო რეკორდებზე მაღალ შედეგებს აჩვენებდა სპარტაკელის იერიშს ამჯერად ნაყოფი არ გამოუღია, მაგრამ ვფიქრობთ, კირაკოსიანი და მისი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ზ. ყიფშიძე გაითვალისწინებენ ამ შეჯიბრებაში დაშვებულ შეცდომებს და შემდგომში კიდევ მეტ წარმატებას მიაღწევენ. საბოლოოდ, ახალგაზრდა ძალოსანმა 15 კილოგრამით გააუმჯობესა იუნიორთა რესპუბლიკური რეკორდი სამჭიდში — აჩვენა 320 კგ და II ადგილზე გავიდა.

დაძაბული გამოდგა პირველობისთვის ბრძოლა მსუბუქი და ქვესაშუალო წონების ძალოსანთა შორის. მსუბუქ წონაში თბილისელი რ. ოვანესიანისა („განთიადი") და წალკელი დ ჯეირანოვის („კოლმეურნე") „დუელი" პირველის გამარჯვებით დამთავრდა (355 კგ). წალკელი ჩემპიონს 17,5 კგ-ით ჩამორჩა. III ადგილზეა ბოლნისელი ქ. ნადირაძე („დინამო") — 327,5 კგ. ქვესაშუალო წონაში თბილისელმა რ. გასპარიანმა („განთიადი") 380 მოაგროვა და 5 კილოგრამით აჯობა თანაქალაქელ ა. ნალბანდიანს („ბურევესტნიკი"), რომელსაც II ადგილი ხვდა.

საშუალო წონაში პირველი იყო თბილისელი ო. დემუროვი („განთიადი") — 425 კგ. II ადგილი დაიკავა 18 წლის ვ. კოჩიევმა (თბილისის „სპარტაკი"), რომელმაც იუნიორთა 4 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა: აჭიმვაში — 127,5, ატაცში — 120, აკვრაში — 152,5, სამჭიდში — 400 კგ.

ქვემძიმე წონაში საუკეთესო იყო ქიათურელი ზ. პაპიძე („კოლმეურნე") — 435 კგ. მძიმე და ზემძიმე წონებში გაიმარჯვეს თბილისელებმა — განთიადელმა დ. მუშკუდიანმა (442,5) და დინამოელმა მ. კალაშიანმა (472,5).

იუნიორთა შორის წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ თბილისელები: ი. ბაბაევი („დინამო"), ა. კირაკოსიანი („სპარტაკი"), ვ. ზატიკიანი, ვ. გოლემბიოვსკი (ორივე — „დინამო"), ვ. კოჩიევი („სპარტაკი"), ბათუმელი ი. მეხაშიშვილი. მძიმე და ზემძიმე წონებში შეჯიბრება არ გამართულა.

სულ ამ დღეებში ნაჩვენები იყო სპორტის ოსტატის 7, ოსტატობის კანდიდატის 3, I თანრიგის 9, II თანრიგის 19 და III თანრიგის 9 შედეგი. როგორც ეს ციფრები მეტყველებს, მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. არ ჩანს ცვლა. სპორტსმენთა უმრავლესობა წლების განმავლობაში ერთი და იგივე შედეგით კმაყოფილდება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკავშირო პირველობაში ადგილები ნაცადი ძალოსნებისა და იუნიორთა ნაკრები გუნდების შედეგების საერთო ჩათვლის მიხედვით ნაწილდება. ჩვენი იუნიორების გუნდიდან კი მხოლოდ ა. კირაკოსიანი, ვ. კოჩიევი და დ. ხიზამბარელი არიან სათანადოდ მომზადებული.

ი. იუნაევი.

# დაწინაურდა ტ. ზატულოვსკაია

XXVI ჩემპიონატი

კიევი, 25 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). უაღრესად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა V ტური, რომელშიც მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა. ე. კაკაბაძემ მარჯვედ დალაშქრა თ. ბოიახჩიანის მეფე და მხედრის შეწირვით დააჩქარა მისი დატყვევება. ე. რუბცოვამ მოუგო თ. გოლოვეის.

სხვა პარტიები გადაიდო, მაგრამ გუშინ დილით ა. კისლოვამ შეატყობინა ნ. ალექსანდრიას, რომ ნებდება მას. სხვათა შორის, ახალგაზრდა მოჭადრაკეების ამ შეხვედრამ საერთო ყურადღება მიიპყრო. თბილისელი სტუდენტი გაფთრებით უტევდა მეტოქის პოზიციას და შეწყვეტილ მდგომარეობაში კისლოვას მარცხისგან თავის დაღწევის არავითარი იმედი არ ჰქონდა.

ა. ჩაიკოვსკაიას ზედმეტი ფიგურა აქვს ც. კახაბრიშვილთან.

VI ტურში მძიმე პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა მ. რანიკუ — ე. კაკაბაძის შეხვედრაში. ხუთსაათიანმა თამაშმა არც ერთ მხარეს არ მისცა გარკვეული უპირატესობა. პარტია გადაიდო, სადაც ყაიმია მოსალოდნელი.

ძალზე მწვავედ წარიმართა ნ. ალექსანდრია — ვ. ტიხომიროვას თამაში. ბრძოლაში წამოჭრილი პრობლემები ბევრს აფიქრებდა მეტოქეებს. ალექსანდრიამ შეძლო უპირატესობის მიღება, მაგრამ სასტიკ ცაიტნოტში მოექცა. საოცრად ტემპიან თამაშში მას ერთი შეცდომაც არ დაუშვია, თუმცა 40-ს ნაცვლად 47 სვლა გააკეთა. შეწყვეტილ პოზიციაში ნანას ორ ეტლში ლაზიერი აქვს, მაგრამ პარტიის ბედი დამოკიდებულია ტიხომიროვას ჩაწერილი სვლის სისწორეზე. თუ მან სწორი სვლა ჩაიწერა, მაშინ შეხვედრა ყაიმით უნდა დასრულდეს.

ც. კახაბრიშვილი პირველად თამაშობს ჩემპიონატში, ამიტომ საკუთარი ძალის ურწმუნობა ემჩნევა. იგი თავიდანვე თმობს ინიციატივას და მთელი საღამო მეტოქის მუქარების მოგერიებას უნდება. ასე იყო ე. ბიკოვასთან პარტიაშიც. მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მანევრული თამაში თანდათან შემმუსრავ იერიშში გადაიზარდა და თბილისელმა უკვე მესამე პარტია წააგო.

ა. ჩაიკოვსკაიამ თ. ბოიახჩიანს პოზიციური თამაში მოახვია თავს. პაიკის დაკარგვის შემდეგ ერევნელი გააქტიურდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. 37-ე სვლაზე მას ფარხმალი დააყრევინეს.

ა. კისლოვამ მოუგო ე. რუბცოვას, კ. სკეგინამ—ნ. მედიანიკოვას. ყაიმით დასრულდა ტ. ზატულოვსკაია — თ. გოლოვეის; ვ. კოზლოვსკაია — გ. არჩაკოვას შეხვედრები. ლ. იდელჩიკს ა. მუსლიმოვასთან ფიგურა აკლია, მაგრამ დაფაზე მწვავე სიტუაციაა.

6 ტურის შემდეგ ტ. ზატულოვსკაიას 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ლ. იდელჩიკს — 3,5 (2), ვ. კოზლოვსკაიას—3.5 (1).

ტ. კრიუკოვა,
საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის მსაჯი.

ფეხბურთი

# რატომ სდუმან მწვრთნელები?!

ა. წ. 5 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. გალპერინის წერილი „მღელვარება და ფიქრები".

წერილი ეხებოდა მეტად მტკივნეულ და დიდმნიშვნელოვან საკითხს: ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობას, „დაწყებითი" ფეხბურთის პრობლემებს და ჩვენი ოსტატთა გუნდებისთვის მაღალხარისხოვანი ცვლის აღზრდის აუცილებლობას.

ლაპარაკი ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობის სერიოზულობაზე, ვფიქრობთ, ზედმეტია. თუ სათანადო კვალიფიკაციის რეზერვი, საიმედო ცვლა დროზე არ მომზადდა, თუ იმ მწვრთნელებმა, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ბავშვთა ფეხბურთი, არ იზრუნეს ნიჭიერი, კარგი მომავლის მოთამაშეთა აღზრდაზე, შევსებას ვერ მიიღებენ რესპუბლიკის „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა კოლექტივები. მათი რაოდენობა კი, როგორც ვიცით, უკვე ათეულს აღწევს. კადრები ახლა გვჭირდება, როგორც არასდროს. ა. გალპერინი თავის წერილში ლაპარაკობდა მთელ რიგ საპრობლემო საკითხებზე, რომელთა დადებითი გადაჭრა დიდად წასწევდა საქმეს.

„ლელომ" მაშინ თხოვნით მიმართა მოზარდ ფეხბურთელებთან მომუშავე ყველა მწვრთნელს, სპეციალისტს, ფიზკულტურულ მუშაკს გამოხმაურებოდნენ ა. გალპერინის წერილს, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ სერიოზულ საკითხზე და პრაქტიკული წინადადებები წამოეყენებინათ.

საკითხი პირდაპირ იყო დასმული: დისკუსიაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მწვრთნელებს, სპეციალისტებს, უშუალოდ ნორჩ ფეხბურთელებთან მომუშავე ადამიანებს, რომლებიც ჩახედული არიან საქმეში, იციან ყველა საჭირბოროტო საკითხი და შეუძლიათ მსჯელობა კონკრეტულ, აქტუალურ პრობლემებზე.

მაგრამ გადის დრო და არც ერთმა მწვრთნელმა არ ისურვა გამოხმაურებოდა ა. გალპერინს. „ისინი სდუმან და ეს დუმილი, ეს სიწყნარე გვაიძულებს ვიფიქროთ, ბევრი მათგანი სამუშაოზეც ასეთი გულგრილი და ინდიფერენტულია ბავშვთა მიმართ. სხვა არაფრით არ შეიძლება აიხსნას ეს სიჩუმე. მტკივნეული საკითხი ხომ ძალიან ბევრია! ჩვენში არსებობს სპეციალიზებულ სპორტსკოლათა მთელი ქსელი, არის სექციები სპორტსაზოგადოებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ფართოდ მოიკიდა ფეხი ბოლო ხანებში ისეთმა მასობრივმა შეჯიბრებებმა, როგორიცაა „ტყავის ბურთის პრიზის" გათამაშება და ა. შ. ყველგან არის სიძნელეები, შეცდომები, პრობლემები. ნუთუ მათს შესახებ არ უნდა აიმაღლოს ხმა მან, ვისაც ეს ეხება უშუალოდ, სამსახურებრივი მოვალეობით?

მართალია, რედაქციამ მიიღო რამდენიმე წერილი, მაგრამ არც ერთი მათგანის ავტორი არაა სპეციალისტი და ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელი. წერილების ავტორებს აწუხებთ ქართული ფეხბურთის აწმყო და მომავალი, აწუხებთ ნორჩთა აღზრდის საკითხები, მაგრამ პროფესიული, საქმიანი საუბრისთვის ჩვენ გვსურდა მოგვეწვია ის ხალხი, ვისაც შეუძლია საკუთარი ან კოლეგების გამოცდილებით თქვას დასაბუთებული, გამართლებული, კრიტიკული სიტყვა.

მთელ რიგ წერილებში გამოთქმულია პრაქტიკული წინადადებანი. მაგალითად, თ. ჯანჯღავა გალიდან იწერება, რომ ბავშვებთან მომუშავე გამოცდილი მწვრთნელები, ცნობილი ოსტატები უფრო მეტ ხალისს უნდა იჩენდნენ რაიონებში გამგზავრებისას, ეხმარებოდნენ იქაურ ორგანიზებულ თუ არაორგანიზებულ საბავშვო გუნდებს, მათს ხელმძღვანელებს. სწორი წინადადებაა.

თბილისელი ს. ყანჩელი ლაპარაკობს ბაზების სიმცირეზე, რომ ნორჩებს არა აქვთ საშუალება ითამაშონ ბურთი ეზოებში და მათთვის საჭიროა მარტივი ტიპის მცირე ზომის მოედნების მოწყობა. რა თქმა უნდა, ესეც სიმართლეა.

ასეთი შენიშვნები სავსებით მართებულია, მაგრამ ა. გალპერინის სტატიის გარშემო საჭიროა უფრო კონკრეტული პოლემიკის გამართვა, სადაც ლაპარაკი იქნება საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებზეც და ყოველდღიური, პრაქტიკული მუშაობის საჭირბოროტო „წვრილმანებზეც".

**სიტყვა თქვენზეა, მწვრთნელებო!**

# ეკრანიზდება ვილი!

• „ინგლისური დღიური" •

...ჩაბნელებულ დარბაზში ვილის მხიარული ძელოდია იღვრება. ორიოდე წამის შემდეგ კი ვილი— ყველა. გულშემატკივრისთვის ნაცნობი და საყვარელი ვილი — თავად გამოჩნდება ეკრანზე.

„ინგლისური დღიური", — ვკითხულობთ ტიტრზე და, რა თქმა უნდა, მაყურებელი წინასწარვე სასიამო მოლოდინშია.

ასე იწყება ახალი დოკუმენტური ფილმი, გადაღებული ალბიონის ნაპირებზე ფეხბურთის VIII მსოფლიო ჩემპიონატის ცხარე დღეებში. მისი ავტორი საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდის ბიუროს საქართველოს განყოფილების დირექტორი ლეო ბაქრაძეა.

— მე მხოლოდ კინომოყვარული ვარ, — თითქოს თავის დაზღვევის მიზნით აკეთებს „წინასწარ განცხადებას" ბაქრაძე.

ვჩქარობთ, გაუწყოთ: ფილმში „საბოდიშო და სამოყვარულო" არაფერია. თუმცა, ავტორი ჩემპიონატზე ტურისტად იყო ჩასული და მხოლოდ იმის უფლება ჰქონდა, რომ თამაშები ტრიბუნებიდან გადაეღო. ფილმს მაღალი ოსტატობის კვალი აჩნია. ეს ერთნაირად ეხება როგორც მის ტექნიკურ, ისე მხატვრულ-კომპოზიციურ მხარეს.

„ინგლისური დღიური", რომელიც თითქმის ერთ საათს გრძელდება (ფილმი ექვსნაწილიანია), VIII ჩემპიონატის 9 მატჩს მოიცავს, მათ შორის, საბჭოთა ნაკრების შეხვედრებს კორეის, იტალიის, უნგრეთის, პორტუგალიის გუნდებთან, ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებს.

ფეხბურთის მოყვარულები ეკრანზე იხილავენ 21 გატანილ გოლს, რომელთა „თანაავტორად", ხატოვნად რომ ვთქვათ, ლ. ბაქრაძეც უნდა ჩაითვალოს. სხვათა შორის, ფილმის ავტორი სპორტულ კინოში მაინცდამაინც ახალბედა როდია. 1964 წელს, XVIII ოლიმპიურ თამაშებში მან გადაიღო ოთხნაწილიანი ფილმი „ტოკიოს დღიური", რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის სამოყვარულო ფილმების კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა, ხოლო საკავშირო დათვალიერებაში — III ხარისხის დიპლომი.

...კადრი კადრს მისდევს და მაყურებლის თვალწინ ცოცხლდება დიდი ფეხბურთის პერიპეტიები: აი, ბანიშევსკის ლამაზი გოლი, გატანილი საბოს ჩინებული მოწოდებიდან (კორეელებთან შეხვედრაში), აი, მურთაზ ხურცილავასა და სანდრინო მაცოლას მძაფრი დუელი, იაშინის ვეფხისებური ნახტომები...

ამ ფილმში ნახავთ ცნობილ ჟურნალისტს მ. სტურუასა (მისი საინტერესო რეპორტაჟები ჩემპიონატიდან „იზვესტიასა" და „ნედელიაში" იბეჭდებოდა) და უნგრელთა სახელგანთქმულ მწვრთნელს ლ. ბაროტის, გერმანელი ჰალერის პირველ ფინალურ გოლს ინგლისელთა კარში და აცრემლებულ ვილის, ნახავთ როგორ დაიჩუტა მძლავრი დარტყმით ბურთი და ქართველ გულშემატკივართა „ნაკრების" (ბ. პაიჭაძის მეთაურობით) ოსტატობას ინგლისის მიწა-წყალზე...

ფილმის (მხატვარი თ. სამსონაძე, ტექსტს კითხულობს კ. მახარაძე) ავტორს გადაუღია დიდი შექსპირის სამშობლო სტრადფორდი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, კ. მარქსის საფლავი და სხვ.

„ინგლისურ დღიურს" თბილისის კინოთეატრებში უჩვენებენ 28 ნოემბრიდან.

ვფიქრობთ, ფეხბურთის გულშემატკივრები ეკრანზეც სიხარულით შეხვდებიან ძველ ნაცნობს — მხიარულ ვილის.

ო. ნოზაძე.

* * *



**სურათზე:** სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების შეხვედრის კინოკადრი. გარღვევაზეა ბანიშევსკი.

# ექს-ჩემპიონი ზუგდიდში

**ზუგდიდი**, 25 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ენგური" და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო".

სტუმრებმა შეტევით დაიწყეს თამაში, მაგრამ მასპინძლები არ შეუშინდნენ გამოცდილ მეტოქეს და ძლიერი კონტრთამაშით შესთავაზეს მას. იყო შემთხვევები, როცა „ენგურის" თავდამსხმელები ალმასია და ბულია ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდნენ კავაზაშვილის კარის წინ, მათი გადამწყვეტი დარტყმები კი უზუსტო იყო.

ტორპედოელებმა წარმატებას მხოლოდ ტაიმის მიწურულში მიაღწიეს: 36-ე წუთზე სტაფეროვმა ზუსტად გაგზავნა ბურთი ზუგდიდელთა კარის შორეულ კუთხეში — 1:0.

შესვენების შემდეგ ტორპედოელთა შეტევები კიდევ ორჯერ დამთავრდა გოლით. 53-ე წუთზე ბურთი გაიტანა ანდრეიუკმა, ხოლო მატჩის დასასრულს — კლიმოვმა. გაიმარჯვა „ტორპედომ" — 3:0.

ამხანაგურმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ სპორტულ საზოგადოებრიობაში.

ზ. ალშიბაია.

ფეხბურთი

ცნობები ცნობები

# საზღვარგარეთის სპორტის სიახლენი

✦ **მეხიკო.** როგორც პრესა იუწყება, აქ უკვე დაიწყო 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ბილეთების გაყიდვა. საორგანიზაციო კომიტეტი კმაყოფილია იმით, რომ ღღითიდღე მატულობს ბილეთების მსურველთა წერილობითი განაცხადები მეზობელი ქვეყნებიდან. პირველ ყოვლისა კი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და კანადიდან.

✦ **ლონდონი.** საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა ცნობილი ინგლისელი პროფესიონალი მოკრივე, დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში ჩ. კელდეუკი.

✦ **ფლორენცია.** დიდია ამასწინანდელი წყალდიდობით გამოწვეული ზარალი იტალიაში. წალეკილია მთელი სოფლები, ქალაქები, რაიონები. აქ წყალმა გაანადგურა ევროპაში ცნობილი იპოდრომი, დაიღუპა დოლის 200-მდე ცხენი, რომელთა საერთო ღირებულება რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს.

✦ **ინსბრუკი.** გაისად, მარტის პირველ რიცხვებში, მოეწყობა მოთხილამურეთა მეტად საინტერესო შეჯიბრება. ერთმანეთს შეხვდებიან ალპური და სკანდინავიის ქვეყნების ნაკრები გუნდები. ყოველი კოლექტივის შემადგენლობაში 12 სპორტსმენი გამოვა.

✦ **ბრიუსელი.** ბელგიის სამთო კურორტ ვოლუვეში „მფრინავი მოთხილამურეებისთვის“ გაიხსნა ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში. მისი სიმძლავრე 100 მეტრია.

✦ **მელბურნი.** თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო ფედერაციის აქ გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატი შვეციაში გაიმართოს.

✦ **რომი.** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სამოყვარულო სტატუტი ჩამოართვა ცნობილ იტალიელ მოთხილამურეს დე დორიგოს, რომელმაც 1964 წელს შვეციაში თავისი სამსახური სარეკლამო ფირმებს შესთავაზა.

ფეხბურთი

# თასების მფლობელთა თასზე

## „ბაიერნმა“ გაიმარჯვა

ოთხშაბათს მიუნჰენში (გფრ) „ბაიერნი“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე წრის საპასუხო მატჩში შეხვდა ირლანდიის „შემროკ როვერზს“ (პირველი თამაში მეტოქეებმა ფრედ დაამთავრეს — 1:1).

ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, „შემროკ როვერზის“ ფეხბურთელები გააფთრებით იბრძოდნენ და გაქვითეს გერმანელთა მიერ გატანილი 2 გოლი — 2:2. მხოლოდ 88-ე წუთზე შეძლო გერმანელმა გერპარდმა გადამწყვეტი გოლის გატანა — 3:2. „ბაიერნი“ გათამაშების შემდეგ წრეში გავიდა.

## „რეალ სარაგოსა“ — შემდეგ წრეში

ამავე დღეს ლივერპულში ერთმანეთს შეხვდნენ „ევერტონი“ (ინგლისი) და ესპანეთის „რეალ სარაგოსა“ (პირველი შეხვედრა მოიგეს ესპანელებმა — 2:0).

ინგლისელებს პირველივე წუთებზე ჰქონდათ გოლის გატანის ორი შესაძლებლობა და სარაგოსელთა მეკარე იარცას მოუხდა უძნელესი ბურთების მოგერიება. თავიანთ მხრივ „სარაგოსას“ თავდამსხმელებს მარსელინოსა და სანტოსსაც გააჩნდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი.

მეორე ნახევარში „ევერტონი“ განაგრძობდა შეტევებს და 81-ე წუთზე მიაღწია კიდეც საწადელს: ცენტრფორვარდმა ბრაუნმა აიღო ესპანელთა კარი — 1:0. ეს იყო და ეს... ამრიგად, ბურთების უკეთესი შეფარდებით (2:1) გათამაშების შემდეგ ტურში გავიდა „რეალ სარაგოსა“.

## გამარჯვებული გამოვლინდება 4 დეკემბერს

ამ პრიზის მფლობელი — დორტმუნდის „ბორუსია“ (გფრ) მეორე წრის პირველ მატჩში გლაზგოში შეხვდა ადგილობრივ „გლაზგო რეინჯერსს“.

მატჩის მსვლელობამ ცხადყო, რომ შოტლანდიელთა მწვრთნელმა თავისი მოთამაშეებისგან მეტოქის კარის შტურმი მოითხოვა: 90 წუთის მანძილზე გლაზგოელები უტევდნენ. მე-12 წუთზე მათმა მცველმა, დანიელმა იოჰანესენმა 15 მეტრიდან გახსნა ანგარიში — 1:0. შემდეგ საპასუხო ბურთი გაიტანა ჰელდმა — 1:1.

მეორე ტაიმში გლაზგოელები განაგრძობდნენ იერიშს და სმითმა თავით გაიტანა მეორე გოლი — 2:1. 4 დეკემბერს დორტმუნდში მეტოქეები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

## 1:0, 1:0

აი, კიდევ ორი შედეგი: როტერდამში (ჰოლანდია) ადგილობრივმა „სპარტამ“ დაამარცხა ჟენევის „სერვეტი“ (შვეიცარია)—1:0. პირველი მატჩი „სერვეტმა“ მოიგო და ბურთების უკეთესი შეფარდებით (2:1) გათამაშების შემდეგ წრეში გავიდა.

სტრასბურგში (საფრანგეთი) ადგილობრივმა „რესინგ-სტრასბურგმა“ პირველი მატჩი მოუგო სოფიის „სლავიას“ (ბულგარეთი) — 1:0.

# ჩემპიონთა თასზე

## ბულგარელთა წარმატება

სოფია. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე წრის პირველ მატჩში ადგილობრივმა ცსკა-მ მოუგო ზაბჟეს „გურნიკს“ (პოლონეთი) — 4:0.

(საქ. ინფ.).

# მოკლედ

● **სოფია.** ბულგარეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დამტკიცებულია დ. ტაშკოვი, რომელიც აქამდე სოფიის „სლავიას“ წვრთნიდა.

● **რიო-დე-ჟანეირო.** 17 წლის ბიბი, გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელის დიდის ვაჟი, „ფლუმინენზეს“ ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშეა. ბრაზილიელმა მწვრთნელმა მოასირმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ბიბის ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა.

● **მონტევიდეო.** „პენიაროლის“ კლუბის დირექტორატმა უხვად დააჯილდოვა გუნდის წევრები საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში მადრიდის „რეალის“ დამარცხებისთვის. გუნდის თვითეულ ფეხბურთელს გადაეცა 1.500 დოლარი.

● **ვენა.** ავსტრიის ჩემპიონატში მეორე და საკმაოდ მწარე მარცხი იწვნიეს გასულ კვირას მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქეებმა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში — ადგილობრივი „რაპიდის“ ფეხბურთელებმა. მათ ანგარიშით 0:4 წააგეს „ვინერ შპორტკლუბთან“.

# რეკორდსმენის 60 წელი

1935 წლის 10 ნოემბერს ცნობილმა შანსონიემ მორის შევალიემ ელისეის მინდვრებზე გახსნა ასპარეზობა, რომელშიც ერთადერთი კაცი მონაწილეობდა. ეს იყო ჟიულ ლიადუმეგის ბოლო სტარტი. 500 ათასი პარიზელი ოვაციებით შეეგება 29 წლის მორბენალს. მთელი საფრანგეთის უსაყვარლესი ათლეტი იმ დღეს სამუდამოდ ტოვებდა პროფესიულ სპორტს. ლიადუმეგი სამი წლის მანძილზე ინარჩუნებდა ხუთ მსოფლიო რეკორდს (1500 და 1000 მეტრზე, 2000 იარდზე, მილის სამ მეოთხედსა და მილზე რბენაში), მერე კი საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციამ მას სამუდამოდ აუკრძალა სარბიელზე გამოსვლა პროფესიონალიზმისთვის.

ლიადუმეგი, ბორდოელი ობოლი ბიჭი, ყოფილი მუშა, 15 წლიდან ვარჯიშობდა რბენაში. სპორტი რომ მიატოვა, ჩემპიონი თავის ოსტატობას უჩვენებდა მიუზიკ-ჰოლში, ცირკში, ბერლინის ლა სკალაში. სპორტის ვარსკვლავის კარიერას ომმა დაუდო საზღვარი. ლიადუმეგი არმიაში გაიწვიეს, დაიჭრა და ლაზარეთში მოათავსეს.

საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ იგი პარიზში დაბრუნდა, ცირკში გამოსვლაზე უარი თქვა და ჟურნალისტიკაში ცადა ძალა. აქ მას გაცილებით დიდი წარმატება ჰქონდა, ვიდრე სცენაზე.

ახლა ჟიულ ლიადუმეგი საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის სპორტული მიმომხილველია. მას ყოველ დილით შეხვდებით ბულონის ტყის ბილიკებზე, სადაც იგი საკმაოდ კარგი შედეგით „ებრძვის“ ათას მეტრს.

ლიადუმეგი 60 წლისაა.

პარიზის ყოველკვირეული „ნუვო კანდიდი“.

# ევროპა თუ ჩრდილოეთ ამერიკა?

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გულმოდგინედ ემზადებიან მეხიკოს ოლიმპიადისთვის. ამ სამზადისში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მძლეოსნობას, რომელში წარმატებაც, პრესის აზრით, ოლიმპიადაში გამარჯვების ტოლფასია.

შეერთებულ შტატებში შეიქმნა სპეციალური მძლეოსნური ცენტრი, სადაც შევიდნენ ცნობილი მწვრთნელები და სწავლულები. სპორტისა და მეცნიერების ასეთი მჭიდრო კავშირი ამერიკისთვის აქამდე უცხო გახლდათ. როგორც ჩანს, ოლიმპიადისთვის სამზადისს აქ ძალზე სერიოზულად მოკიდეს ხელი.

1967 წლის 9-10 აგვისტოს მონრეალში გაიმართება მეტად საინტერესო მძლეოსნური მატჩი, რომელიც ამერიკელთა გეგმების სერიოზულობას კიდევ ერთხელ შეამოწმებს. ეს იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის უძლიერეს ათლეტთა საკონტინენტთაშორისო მატჩი. სპეციალისტები და ჟურნალისტები ამ შეხვედრას ოლიმპიადისთვის ბოლო სამზადისს უწოდებენ. როგორც ჩანს, საკონტინენტთაშორისო მატჩი თავისი ავტორიტეტით მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულზე ნაკლები როდი იქნება.

ფეხბურთი

# ფილმი მსოფლიო პირველობაზე

ლონდონში დიდი წარმატებით უჩვენებენ ფილმს ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატზე. მისი რეჟისორია ჩილიელი ო. ხენიორე. ფილმი 108 წუთს გრძელდება და ასახავს გათამაშების ყველაზე უფრო საინტერესო მომენტებს.

ლონდონის „დეილი მეილის“ მიმომხილველის ცნობით, ფილმი საუკეთესოა, რაც კი ამ სფეროში შექმნილა. გარდა საინტერესო სპორტული კადრებისა, მასში ბევრი იუმორისტული ადგილიცაა.

# 6 გოლი შოშკიჩს

დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის მიმომხილველები ქებით იხსენიებენ ცნობილ იუგოსლაველ მეკარე შოშკიჩს, რომელიც სექტემბრიდან მოყოლებული „ფკ კიოლნის“ კარს იცავს.

ამას წინათ „კიოლნმა“ სასტიკი დამარცხება (1:6) იგემა „ბორუსიასთან“ (დორტმუნდი). 6 გოლის გაშვების მიუხედავად, მიმომხილველთა ცნობით, შოშკიჩი ჩინებულად იცავდა კარს და არაფერში იყო დამნაშავე.



სტოკჰოლმში ამას წინათ გაიმართა მოტომრბოლელთა შეჯიბრება, რომლის დროსაც სიკვდილს სასწაულით გადაურჩნენ პეტერსონი და ნილსონი. დიდი სისწრაფით მქროლი მოტოციკლები ავტოდრომის ვირაჟს დაეჯახნენ და მრბოლელები „უნაგირიდან“ შორს გაისროლეს. ორივე სპორტსმენი ბეტონის ბილიკიდან კარგა შორს დაასკდა მიწას და... საღ-სალამათი დარჩა.

# კვლავ მიიღეს

**ტოკიო.** ინდონეზია კვლავ მიიღეს ცურვის საერთაშორისო ფედერაციის წევრად. ეს გადაწყვეტილება გამოცხადდა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გაიმართა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი)—„დინამო“ (კიევი). დღეს — სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** სპორტკლუბ „სინათლეს“ დარბაზი (ტელმანის ქ. № 8). საქართველოს პირადი პირველობა. დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

**მხატვრული ტანვარჯიში.** „განთიადის“ სპორტდარბაზი (პლეხანოვის პრ. № 95). სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურული კოლექტივების საქალაქო პირად-გუნდური პირველობა გოგონათა შორის. დასაწყისი 26 ნოემბერს — 15 ს., 27-ში — 13 ს.

**ქართული ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. 27-28-29 ნოემბერი. საქართველოს პირადი პირველობა უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით. დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.